საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

სიმონ ჩხაიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და გულწრფელი. ის ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. კანდიდატი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი პასუხისმგებლობით ასრულებს სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანდიდატს ადმინისტრაციული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. აღსანიშნავია, რომ ის სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. კანდიდატი მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატმა კარგად იცის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა. მას აქვს კარგი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი

			თავისუფლებების სფეროში. ის აქტიურად და სიღრმისეულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. ამასთან, მხარეთათვის გასაგები. მისი ავტორობით შედგენილ სტატიაში მოსაზრებები არის კვალიფიციურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბებული. ამასთან, ვლინდება, რომ მას დამუშავებული აქვს არაერთი სამართლებრივი წყარო, რაც მიზნობრივად და არსობრივად სწორად აქვს გამოყენებული. აღნიშნული მიგვანიშნებს კანდიდატის კვლევით უნარებზე, ასევე, მის ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარებზე.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგები ენით, დასაბუთებულად და ნათლად. მთავარი სათქმელი აზრის ლოგიკური ჯაჭვი არის დაცული და თანმიმდევრული. რაც მნიშვნელოვანია, დოკუმენტები მკითხველთათვის მარტივად არის აღქმადი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატს გააჩნია საკმაოდ თანმიმდევრული და გამართული მეტყველების უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგებად, გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად. ამასთან, გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა. კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად, ამასთან, მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. ის გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობებს. მას შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ, ის ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ის საკმაოდ აქტიურად ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას. ამასთან, ის ამჟამად კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ის საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცინერო საქმიანობას, ის არის არაერთი სტატიისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ამასთან, კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში.
ქულათა ჯამი	**97**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, სიმონ ჩხაიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.*		

	<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u> მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის პასუხისმგებლობით ასრულებს თავის სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს, თუმცა, მას უფიქსირდება მცირედი ჯარიმა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. სიმონ ჩხაიძე რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრის“ გამგეობის წევრად. კანდიდატს მისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისად, სიმონ ჩხაიძე სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობებს. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u> გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს. მის პრინციპულობასა და გულისხმიერებას დადებითად აფასებენ გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი 1991 წლის მარტიდან 2006 წლის თებერვლამდე იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი. თუმცა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს კანდიდატის პოლიტიკურ მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს. გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u> კანდიდატს სათანადოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, ის შესაბამისად იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

	გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა და კორექტულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება, ამასთან ის არ წარმოდგენილა დაზარალებულად. კანდიდატი იყო მოპასუხე განქორწინების საქმეში და მის მიმართ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე კანდიდატი იყო მოსარჩელე იყო ზიანის ანაზღაურების საქმეში, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. <u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია**</u> კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი გამოარჩევენ კანდიდატის პრინციპულობას, გულისხმიერებას, პუნქტუალურობას და ა.შ.. ისინი არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. <u>**ფინანსური ვალდებულება**</u> როგორც უკვე აღინიშნა, სიმონ ჩხაიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. რაც, თავის მხრივ გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, სიმონ ჩხაიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> <u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით სიმონ ჩხაიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;*

- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი ცდილობდა თავისი ცოდნა და გამოცდილება წარმოეჩინა და ყველა საკითხზე ემსჯელა საფუძვლიანად და ამომწურავად, ამასთან, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია და შეხედულება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

გასაუბრების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აღნიშნული სფეროების ფარგლებში დასმული საკითხების განხილვისას კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთეულად ემსჯელა, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების, ისე ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მაგალითების მიმოხილვის გზით.

ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას კანდიდატი ცდილობდა გამოეკვეთა საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გამოწვევები და პრობლემები, ასევე შეძლებისდაგვარად ემსჯელა მათი გადაჭრის გზებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატს გააჩნია თავისი ხედვა, შესაძლოა ითქვას, რომ არასტანდარტულიც.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა თავად დააფიქსირა გასაუბრების მიმდინარეობისას, რომ არ ეცნობა სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევებსა თუ ანგარიშებს.

კანდიდატი აქტიურად და სიღრმისეულად ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას. მას გააჩნია კარგი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, ამასთან ის კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. აღნიშნულის წარმოჩენა

	კანდიდატმა შეძლო გასაუბრების მიმდინარეობისას. საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად ანდა სათანადოდ ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 90%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. ამასთან, მხარეთათვის გასაგები. მისი ავტორობით შედგენილ სტატიაში მოსაზრებები არის კვალიფიციურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბებული. ამასთან, ვლინდება, რომ მას დამუშავებული აქვს არაერთი სამართლებრივი წყარო, რაც მიზნობრივად და არსობრივად სწორად აქვს გამოყენებული. აღნიშნული მიგვანიშნებს კანდიდატის კვლევით უნარებზე, ასევე, მის ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარებზე. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგები ენით, დასაბუთებულად და ნათლად. მთავარი სათქმელი აზრის ლოგიკური ჯაჭვი არის დაცული და თანმიმდევრული. რაც მნიშვნელოვანია, დოკუმენტები მკითხველთათვის მარტივად არის აღქმადი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა, რომ მას გააჩნია საკმაოდ თანმიმდევრული და გამართული მეტყველების უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგებად და გამჭვირვალედ. ამასთან, გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა. კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** კანდიდატის პუნქტუალურობასა და საქმისადმი ერთგულებას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და კოლეგები. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ გაზიარებული ინფორმაციის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის არის შრომისმოყვარე, მას შესწევს

	დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი (83,3 %; 89,2 %). აღნიშნული, ასევე მიუთითებს კანდიდატის მიერ დროის სწორი განაწილების უნარზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა სიახლეების მიმართ მისი ღიაობა და თვითგანვითარების უნარი. ის საკმაოდ აქტიურად ეცნობა როგორც ეროვნულ, ისე სხვადასხვა ქვეყნის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. შეძენილ ცოდნას კანდიდატი იყენებს თავის საქმიანობაში. ამჟამად კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ის აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა როგორც სამეცნიერო, ისე აკადემიურ საქმიანობას. ის არის არაერთი სტატიის ავტორი, ასევე სამართლებრივი სახელმძღვანელოს თანაავტორი. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. გასაუბრების ეტაპზეც კანდიდატმა გამოავლინა, რომ მას აქვს ინიციატივების გამოჩენის უნარი, აქვს სხვადასხვა იდეა და წინადადება გარკვეულ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2006 წლიდან ის არის საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრი. აღნიშნულმა ასოციაციამ 2013 წელს ის დაასახელა წინა წლის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოსამართლედ.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.